ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№4 (37) აპრილი, 2005 წელი

ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ საკაკაშვილი:

„დღეს პრეზიდენტი ხალხს ყველაზე მეტად სჭირდება სვანეთში, რაჭაში, ლეჩხუმში...“

ვნების შვიდეული–ხანგრძლივი საღდგომო მარხვის უმძიმესი დღეების ეპილოგი... ჯვარცმული მაცხოვარი, რომელსაც ეკლის გვირგვინი დაადგეს თავზე, აწამეს, ჰნერწყვავდნენ და გაიძახოდნენ: „ჯვარს აცვით! ჯვარს აცვით!“.

ვნების კვირეულის საკითხავებში კითხულობდი: ქრისტეს ჯვარცმის დროს მზემ და მთვარემ „თვალებზე ღრუბელი ჩამოიფარეს“, დაბნელდნენ, რომ ჯვარცმული მაცხოვარი არ ეხილათ, მიწა შეინძრა, ბუნება შეძრწუნდა იმ სიცოფისა და სივერაგის გამო, რაც ადამიანებმა ჩაიდინეს. ბუნება (ღვთის მიერ შექმნილი) თავისებურად გამოხატავს და განიცდის ჯვარცმული იესოს ტკივილებს, უფლის დიდებას ღაღადებს, ამ დროს კი ადამიანები (ისევ ღვთისმიერშექმნილი) ხმისჩახლეჩამდე ყვირიან: „ჯვარს აცვით იგი!“ ეს ის დღეებია, როცა მართლმადიდებელნი განსაკუთრებით განვიცდით და აღვიქვამთ მაცხოვრის ჯვარცმას, მასთან ერთად ვცდილობთ ვიტვირთოთ ცოდვასთან, ბოროტებასთან ბრძოლის ტვირთი, რათა ისევ მასთან ერთად განვიცადოთ, „ზიარ-ვიქმნეთ“ იმ უდიდესი სიხარულისა, რასაც აღდგომის სიხარული ჰქვია.

...ვნების შვიდეულის დატვირთული დღეებით დაღლილები მივუყვებით და „ვკეცავთ“ სვანეთისაკენ მიმავალ გზას, ჩვენი მომხვდური აბობოქრებული, მღვრიე ტალღებით შეუპოვრად მომავალი ცხენიწყალია, რომლის ტალღების სიძლიერეს და გადაუღებელ წვიმას კატასტროფულ მდგომარეობაში ჩაუყენებია გზა... ამ გზას მიუყვებოდნენ ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე, ეპარქიის სამღვდელოების, სტიქაროსნებისა და მგალობლების თანხლებით საღდგომო ლიტურგიის ჩასატარებლად... ეს დღე უჩვეულო იყო ჩვენი მასპინძლებისთვისაც... შეუბრალებელი სტიქია, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სიხარული და მოუთმენელი მოლოდინი. საქართველოს პრეზიდენტისა, რომელმაც მოულოდნელად მიიღო გადაწყვეტილება „საღდგომო ლიტურგიას სვანეთში დავესწრებიო“. საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ საკაკაშვილს ლენტეხში დახვდნენ პრეზიდენტის რწმუნებული მხარეში ბატონი ოთარ სირაძე, ლენტეხისა და ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატები ბატონები გიორგი ლიპარტელიანი და ავთანდილ სილაგაძე, რაიონის გამგებელი ბატონი გიორგი ონიანი, თამაზ ქარსელაძე და ორივე რაიონის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

სვანები ღმერთმა განსაცვიფრებელი ფიზიკური გამძლეობით, ტანადობითა და ნიჭით დაჯილდოვა. სვანი თავდაჯერებული, მხიარული, ამაყი და სანდოა, თუ მასზე „გამბრწნელად არ მოქმედებს ჭირი და უბედურება“.

ჩვენი უბედურება კი სტიქიაა, გადაუღებელმა წვიმებმა, წყალდიდობამ ლენტეხს 40-მდე სოფელი მოსწყვიტა... საქართველოს პრეზიდენტის სტუმრობის მიზეზი გახლდათ ის, რომ საკუთარი თვალით ენახა „ბუნების მრისხანება“ და მაინც... აღდგომის დღესასწაულის დიდი სიხარული, იმედი მომავლისა, თანადგომა გაჭირვებაში, სვან ხალხთან ერთად აქ ეგრძნო. სწორედ აღდგომის უდიდესი მადლი უყუჩებდა მასპინძლებს იმ სულიერ, ხორციელ ტკივილებს, მატერიალურ დანაკლისს.

„აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ, ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა და ჩვენცა ღირს გვყევენ წმიდით გულით დიდებად შენდა“. საათმა თორმეტს შემოჰკრა... სამეუფო ზარების რეკვამ ამცნო ერსა და ბერს აღდგომის დადგომა უფლის აღდგომის სადიდებელი სიტყვები ხმაურიან ექოს გამოსცემდა, ეპისკოპოსი სტეფანეს, რომელიც დიდი სიხარულით, სიყვარულით წარმოსთქვამდა ამ სიტყვებს, მალე მგალობლებიც შეუერთდნენ... ზარები არ რეკდნენ, ისინიც გალობდნენ... ქვეყნის პირველი პირი–საქართველოს პრეზიდენტი საოცრად ამაღლებული გრძნობით აჰყვა მგალობლებს „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“... თანდათან ძლიერდებოდა ხმები... მათ მთელი სვანეთი, მთელი ეპარქიის მოსახლეობის ბაგიდან ბაგეზე სწვდებოდა „ქრისტე აღსდგა!“... ამ სიხარულის შემყურე ერთი აზრი მიტრიალებდა: ერისა და ბერის ერთად დგომა, მთავრობისა და მხედრობის, მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვართა ერთად დგომა–აი, ის უძლეველი ძალა, რომელსაც ვერაფერი დაამარცხებს. ღმერთია ჩვენი პატრონი, ერთადერთი იმედი და ნუგეში. ჩვენ კი იგი მხოლოდ ხანდახან, ისიც გაჭირვების ჟამს გვახსენდება.

ეპისკოპოსი სტეფანე: როცა ადამიანის სულში ღმერთი არსებობს, შენი ცხოვრებას ორიენტაცია ეძლევა, ორიენტაცია ზეცისკენ. როცა შენს სულში ღმერთი არ არსებობს, შენს ორიენტაცია მხოლოდ სასაფლაომდე მიდის. მეტი გზა არ არსებობს. იგი სასაფლაოზე მთავრდება. მიწაში ჩაგდებენ, შეიძლება სასაფლაო ლამაზად მოაწყონ, მაგრამ აქედან ვერაფერს მიიღებ, რადგან შენი სიცოცხლე ამ ორიენტაციის კრახით მთავრდება, როცა ქრისტე აღსდგა, როცა ჩვენს სულში ღმერთს ვატარებთ, როცა ვიცით სულის უკვდავება, მაშინ აქვს ჩვენს ცხოვრებას აზრი და ზნეობას ეძლევა მოტივაცია. როცა უფალთან მივდივართ, მივდივართ სწორედ ეკლიანი გზით, ამ გაჭირვებით ამ პრობლემებით.

საქართველოს მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ იმედიანადაა. არ შეიძლება საქართველო წაიქცეს იმიტომ, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველომ ატარა მძიმე ჯვარი. ქრისტიანობისა, დღესაც ჩვენ ერთად აღვნიშნავთ აღდგომას, დღეს ჩვენთან ერთად იმყოფება საქართველოს პრეზიდენტი. ეს უდიდესი სიხარულია ამ ხალხისა. სვანეთი თითქოს მოწყვეტილია ცენტრს და იმათ, რომლებსაც სიწმიდეების მონახულება უნდათ, უფრო ცენტრთან ახლოს მყოფ ადგილებში ამჯობინებენ მივიდნენ. აქ უბრალო ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც კბილებით იცავენ თავიანთ სამშობლოს, რომლებსაც უდიდესი სიწმინდე აქვთ შენარჩუნებული. მე უკვე რამდენიმე წელია ამ ეპარქიის ეპისკოპოსი ვარ, გარკვეულწილად ჩემი თავი გავაიგივე ამ ხალხთან. აქ არის უდიდესი სიწმინდე, აქ არის უმარავი უძველესი ხატი. როცა საქართველოს სხვა კუთხეებმა მტრის შემოსევების დროს დაკარგა უამრავი სიწმინდე სვანეთმა შემოინახა ბევრი ისეთი რამ, რასაც საქართველოს ვერც ერთ კუთხეში ვერ შეხვდებით. სვანეთში ძალიან ბევრი რამ შეიძლება ადამიანმა კარგი და სასიკეთო ისწავლო და გაიგო.

რა თქმა უნდა, აქ არის მეორე მხარეც: მთის ხალხისათვის დამახასიათებელი პირდაპირობა და სამართლიანობა აქ ზენიტშია. ამათუიმ საკითხის შესახებ მათი გამოხატულება პირდაპირია. ეს შეიძლება ვინმეს არ მოსწონდეს, ან ვინმეს მოსწონდეს, მაგრამ სამაგიეროდ ეს ალალობა და სამართლიანობა უფრო მისაღები და სწორი ფორმაა, ვიდრე მლიქვნელური ტყუილია, რომელიც საზარელი და ამაზრზენია, მოგილოცავთ დღევანდელ დღეს. ამაღლებული გრძნობითა და დიდი სიხარულით აღვნიშნოთ დღევანდელი აღდგომა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს პრეზიდენტს აქ მობრძანებისათვის, ჩვენთან ერთად დიდი სიხარულისა და განსაცდელის გაზიარებისათვის, ამ ხალხის დაფასებისათვის, რომელიც ჩვენს გარშემოა ეს უბრალო ქართველები არიან, რომელიც ჩვენთვის ზრუნავენ, ჩვენი სამშობლოსათვის თავს დადებენ“.

მეუფე სტეფანემ ბატონ მიხეილ საკაშვილს ეპარქიის სახელით გადასცა წმიდა გიორგის სვანური ხატი.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ საკაშვილი: „მოგესალმებით ყველას, ამ მნიშვნელოვან დღესასწაულს, რომელზედაც შეუფე სტეფანემ სწორად ისაუბრა, ზუსტად გამოხატა ის აზრი, რაც ჩადებულია აღდგომის დღესასწაულში. მე უბრალოდ მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ვართ ხალხის მთავრობა. ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა იყო იქ, სადაც ხალხს ყველაზე მეტად სჭირდები. დღეს მთავრობა და პრეზიდენტი ხალხს სჭირდება სვანეთში, რაჭაში, ლეჩხუმში. მინდა მადლობა გითხრათ გამძლეობისათვის, სითბოსთვის, კეთილი გულისათვის, რომელიც მთელმა საქართველომ დაინახა. მოხიბლული ვარ თქვენი ბავშვებით, რომლებიც მთელი ღამე მედგრად დგანან ფეხზე. მინდა გითხრათ, საქართველოს თქვენ არ დავიწყებიხართ. თქვენ, ნახეთ რომ პირველი წუთებიდანვე ვისაც როგორ შეეძლო აქ ჩამოვიდა. ჩამოვედი მე, როგორც კი გაჩნდა ამის შესაძლებლობა. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ სვანეთი დაიცალოს. სვანეთი არის ბევრად მეტი, სვანეთი არის ქართული სულიერების უმნიშვნელოვანესი ადგილი, სვანეთი არის ქართული საგანძურისა და ქართული ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, არის ქართული მსოფლიო მისიის ერთ-ერთი ბრწყინვალე გამოხატულება. ამიტომ სვანეთის დაცლა, ნიშნავს საქართველოსათვის უზარმაზარ დარტყმას.

დღეს მთელი საქართველო გიყურებთ თქვენ... ლენტეხის მოსახლეობას, ხალხს, რომელმაც ამ დღეებში ამდენი გადაიტანა. დიდი მადლობა ყველაფრისათვის, რომ მაინც გაძელით, დიდი მადლობა რომ აქამდე გაძელით. დიდი მადლობა, რომ ბოლო დღეებში გაუძელით—სტიქიას, მინდა დაგაიმედოთ და გითხრათ, რომ რის კეთებაც ბოლო დღეებში დავიწყეთ ეს ზღვაში წვეთია, ყველაფერი წინ გვაქვს. ქედს მოვიხრი თქვენს წინაშე. კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს. მინდა კიდევ ერთხელ გითხრათ მთელი საქართველოს სახელით: ქრისტე აღსდგა!“.

პრეზიდენტი ეპარქიაში

საქართველოს პრეზიდენტმა ლექსურის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარს ათონის მონასტრიდან ჩამობრძანებული მოოქროვილი ვერცხლის ჭედური ღვთისმშობლის ხატი შესწირა, რომელიც 9 თვის განმავლობაში მის სამუშაო ოთახში ბრძანდებოდა. „ეს ხატი იმედი მაქვს, მომავალში აგვაცილებს ათასგვარ უბედურებას, გარდა ამისა მინდა კიდევ დავბრუნდე ამ ეკლესიაში, იმდენად აღფრთოვანებული ვარ. ჩემდა სამარცხვინოდ მინდა ვთქვა, რომ ლენტეხში პირველად ვარ, მაგრამ ვარ ძალიან ბედნიერი რომ ჩამოვედი“.

სვანები, რომლებიც დანარჩენი ქართველებისაგან ენით, ჩვეულებითა და ცხოვრების ნირით თითქოს გამოირჩევიან, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ იმით, რომ ბუნების მრისხანებით განკიდებულს საუკუნეების განმავლობაში შეუნარჩუნებია ეროვნული ნიუანსები, სიმტკიცე, ხასიათი... განცვიფრებული ხარ მთების სიდიადით, მათ გაცნობას კი ამ ბუმბერაზ მწვერვალებზე ასვლას ადარებ. მართლაც ამ დღეს მიუხედავად დიდი განსაცდელისა ყველანი ბედნიერები იყვნენ, აღდგომის სიხარული განსაკუთრებულია, ამ დღეს ყველანი კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმ ჭეშმარიტებაში, რომ ჩვენი ამქვეყნიური მწუხარების მთავარი მიზეზები უფლის მადლთან დაცილებასა და სიყვარულის დაკნინებაშია.

გამთენიისას კი საქართველოს პრეზიდენტმა ისევ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: არც ლეჩხუმელები დაგვტოვა გულგატეხილები. ლენტეხიდან ცაგერამდე თავისი თვალით დაათვალიერა სტიქიისაგან დანგრეული გზები. მურის ხეობაში საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ საკაკაშვილს, პარლამენტის წევრს მარიკა ვერულაშვილს, პრეზიდენტის რწმუნებულს მხარეში ბატონ ოთარ სირაძეს დახვდნენ მაჟორიტარი დეპუტატი ავთანდილ სილაგაძე, რაიონის გამგებელი თამაზ ქარსელაძე- პრეზიდენტი ცაგერის სტადიონზე, სადაც ვეტმფრენი ელოდებოდა შეხვდა მოსახლეობას, მოისმინა მათი პრობლემები.

ქრისტე აღსდგა!

ყოველი დღესასწაულის მოლოდინი ქრისტიანის სულში უდიდეს სიხარულს ბადებს. ეს სიხარული საზღვრებს ვერ პოულობს აღდგომის ღამეს, როცა აღდგომილ მაცხოვარს ვხვდებით. დღესასწაულთა დღესასწაულს ანგელოზნი უგალობენ, ზეიმობს ზეცა და დედამიწა, ამასთან ერთად თითოეული აღდგომის სიხარულის, ჩვენი განსაცდელის გამზიარებელს საქართველოს პრეზიდენტს კი ეპარქიის მოსახლეობა ლოცავდა, ერის ჯვარი გიბოძათ ღმერთმა და მოგცემთ ძალას აღდგომილი მაცხოვარი მისი ბოლომდე სატარებლადო. „თავად უფალი შენი ღმერთი, მოდის შენთან ერთად, არ მოგშორდება და არ მიგატოვებს.

ეკატერინე ბენდელიანი

სტიქია ლეჩხუმში

სტიქია ლეჩხუმისათვის უცხო ნამდვილად არ არის, მაგრამ წლევანდელმა აშკარად კატასტროფული ზარალი მოგვცა.

რა ზიანი მოგვიტანა გაზაფხულის წყალდიდობამ კონკრეტულად, რა მდგომარეობაა დღეისათვის, როგორია საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევა და დახმარება, რა იგეგმება მომავალში, რა იმედი შეიძლება მივცეთ შეჭირვებულ მოსახლეობას.

მოვუსმინოთ ცაგერის რაიონის გამგებელს ბატონ **თამაზ ქარსელაძეს.**

გადაუჭარბებლად ვიტყვი: მართლაც უმძიმესი დღეები დაგვიდგა ამ გაზაფხულს ლეჩხუმელებს. ჯერ მარტის პირველ დეკადაში, შემდეგ კი აპრილის ბოლო რიცხვებში მოსულმა გადაუღებელმა წვიმებმა ცხენისწყლისა და ლაჯანურის უეცარი ადიდება გამოიწვია. წყალდიდობის შედეგად დაინგრა და დაიტბორა როგორც ცენტრალური, ისე შიდასასოფლო გზები, დაინგრა და დაზიანდა საცხოვრებელი სახლები, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზები, ხიდები, წყალგაყვანილობის სისტემები, წაიღეკა და უვარგისი გახდა ათეულობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული.

იმთავითვე ფეხზე დადგა რაიონის ხელმძღვანელობა, შეიქმნა სტიქიასთან ბრძოლის რაიონული შტაბი, მობილიზება გავუკეთეთ ძალებს, არსებულ ტექნიკას, გამძლეობა და ორგანიზებულობა დავუპირისპირეთ ბუნებას.

მოგეხსენებათ, რთულია წინ აღუდგე გამძვინვარებულ სტიქიას. მეწყრისაგან, ღვარცოფისაგან გაუვარგისდა ცაგერი-ქუთაისის საავტომობილო გზის ჭალისთავის, წიფერჩის, ზუბის მონაკვეთები. დაიტბორა ალპანა-ცაგერის გზის ლაჯანა-ჭილეშის 3 კილომეტრიანი მონაკვეთი. ცაგერი-ლენტეხის გზაზე მურის ხიდთან დაზიანდა ნაპირდამცავი ნაგებობა და სანახევროდ წალეკა გზის ვაკისი.

მოძრაობა შეწყდა ცაგერი-ლასურიაში-აღვის, ორბელი-ლაჯანა-ლაცორიაუსახელოს სპათაგორის მიმართულებით.

ცხენისწყალმა გაანგრია ქალაქ ცაგერის დამცავი კედელი. ლაჯანურჰესის სათავე ნაგებობის მარეგულირებელი წყალსაცავის მარჯვენა კედლის 15-მეტრიანი მონაკვეთი გამორეცხილია და ჩანგრევის პირასაა, რის შედეგად წალეკვის საფრთხე ემუქრება მთლიანად ცაგერს. დაიტბორა სოფელ ჩხუტელის ჭალის უბნის მოსახლეობა, საიდანაც 3 ოჯახი გახიზნულია. დაინგრა ცაგერი-ლასურიაშის საავტომობილო გზა, წალეკვის საშიშროების ქვეშაა ჭალისთავის დასახლება.

წყალმა წალეკა ზუბის საკრებულოს 3 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა, დაანგრია ყოფილი უსახელოურის საბჭოთა მეურნეობის საქმიანი ეზო და შენობა-ნაგებობები.

სოფელი ოყურეში მოწყდა გარე სამყაროს. სოფლის ორივე__ცხაკურისა და ოყურეშის ხიდები წყალმა წაიღო. საშიშროება შეექმნა სოფელ დოღურაშის ხიდის მარჯვენა ბურჯს, ხოლო მისასვლელი 2 კილომეტრიანი გზა მთლიანად დანგრეულია.

და მაინც ყველაზე უმძიმესი მდგომარეობა ლაჯანურის ხეობაშია. ძნელია ენით გადმოსცე ეს. მდინარე ლაჯანურმა დატბორა დასახლება, ორბელისა და ლაჯანის მიმდებარე სოფლები სპათაგორი, ლაცორია, ლაჯანის, უსახელო, ლეშკედა, ხოჯი მონყდა ცენტრს, ქალაქს. სოფლებს საცალფეხო გზაც კი აღარ აქვს. წყალი წალეკვით ემუქრება ორბელის ჭალის დასახლებას, მთლიანადაა დანგრეული კურორტ ლაშიჭალაში მიმავალი საავტომობილო გზა.

რომელი ერთი ჩამოვთვალო: დაინგრა ზარაგულისა და ლეხვანოს ხიდ-ბოგირები, რაიონის უმრავლეს სოფლებში ჩაკეტილია გზები, შეწყვეტილია მოძრაობა; არ არის შუქი. ზოგან__წყალი.

სტიქია გრძელდება. გამოდარებას, როგორც ხედავთ, პირი არ უჩანს. სულ რაიონში წყალდიდობის საშიშროების ქვეშ მოექცა 271 ოჯახი, გეოლოგიური დასკვნის თანახმად მდგრად ადგილზე გადასაყვანია ათეულობით ოჯახი.

სტიქიური მოვლენების შედეგად რაიონის სახალხო მეურნეობამ განიცადა 4 მილიონ 870 ათასი ლარის ზარალი, ეს, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით, დღეისათვის საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლებულია 25 ოჯახი.

აი, მოკლე და არასრული ოპერატიული სურათი სტიქიური უბედურებისა, რომელიც თავს დაგვატყდა.

როგორც გითხარით, იმთავითვე მუშაობის სადღეღამისო რეჟიმზე გადავედით. გაჭირვების დღეებში გვერდიდან არ მოგვცილებია პრეზიდენტის რწმუნებული მხარეში ბატონი ოთარ სირაძე, ცაგერის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ავთანდილ სილაგაძე და ნაციონალური პარტიის წევრი, პარლამენტარი ვალერი გიორგობიანი.

რაიონში ჩამობრძანდა პრემიერ-მინისტრი ბატონი ზურაბ ნოღაიდელი. მე და ავთანდილ სილაგაძე ცაგერში დავხვდით მას. გადაღმა ზონაში ბატონი ვალერი შემოგვიერთდა. ნოღაიდელმა დაათვალიერა ორივე ხეობა, შეხვდა ადამიანებს, მისცა იმედი, რომ აღდგენილ იქნება გზები, ხიდები, ნაპირსამაგრები, კომუნიკაციები.

დღესდღეობით გამოსახლებული მოსახლეობა ზოგი ლაჯანის ინტერნატში, ზოგიც მეზობლებშია თავშეფარებული და საშიშროება არ ემუქრებათ. ღია ცის ქვეშ დარჩენილ ოჯახებს საშუალება მიეცემათ შეიძინონ საცხოვრებელი სახლები. მიზანი კი ერთია__არ დაიცალოს ლეჩხუმი, ჩვენი მოსახლეობა ჩვენთანვე განთავსდეს.

უკვე აღვადგინეთ ცხაკურის ხიდი და ოყურეშთან კავშირიც დამყარდა. რაც შეეხება ძირითად__ოყურეშის ხიდს, ჩამოსული არიან ხიდმშენის სპეციალისტები.

რაიონის ხელმძღვანელობა ყველა დონეზე მოითხოვს დახმარებას.

განსაკუთრებით გვჭირდება ტექნიკა, პირველ რიგში მძიმე ტექნიკა, სხვანაირად, ჩვენი მწირი ტექნიკით ვერაფერს გავხდებით სტიქიასთან ბრძოლაში.

ლეჩხუმში არსებული მდგომარეობით დაინტერესდა პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**. იგი ლენტეხიდან ჩვენთანაც ჩამობრძანდა. მურის ხიდთან შევხვდით, მე ბატონი ავთანდილ სილაგაძე და სხვები, ავუხსენით მდგომარეობა, მოგვცა იმედი, რომ დაგვეხმარება.

ამ დღეებში რაიონში დაზარალებულთათვის ჰუმანიტარული ტვირთი შემოვიდა. შევქმენით კომპეტენტური კომისია, რომ ტვირთი დროულად და კანონიერად გაიცეს.

გამოყოფილია აგრეთვე დიზელის საწვავი, რომელიც გაიცემა რაიონის ყველა მუდმივმოქმედ კომლზე.

დასასრულს, ბრწყინვალე აღდგომის ამ დღეებში, ვუსურვებ ჩვენს ხალხს ღვთის შეწევნას, მოთმინებას, მხნეობას და შევპირდები ერთს:

წუთითაც არ მივატოვებთ ამ გაჭირვების ჟამს, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ლეჩხუმი სტიქიას გადაურჩეს.

...

ძლივს მოვიხელთე იმ დღეს გამგებელი-ცხაკურის ხიდის მშენებლობიდან დაბრუნებული, დაღლილი ჩანდა, თითქოს იმედწართმეული. თვალი წამდაუწუმ ფანჯრისაკენ ეჭირა, გარეთ ხომ ისევ გადაუღებლად წვიმდა. მისი გული და ფიქრი ჩაკეტილ, უგზოუკვლო სოფლებსა და უსახლკაროდ დარჩენილ ლეჩხუმელებს დასტრიალებდა...

მზევინარ ძნელაძე

საკეთებელი ბევრია და შევძლებთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქალაქის იერ-სახის გამშვენიერებაში"

საქმიანი რუბრიკა

ამჯერად საქმიანი რუბრიკის სტუმარი გახლავთ ქალაქ ცაგერის საკრებულოს თავმჯდომარე **ბეჟან ლურჭუმელიძე.**

__ბატონო ბეჟან! ყველასათვის ცნობილია, თუ რა საფრთხეს უქმნიდა ქალაქის მოსახლეობას კეჭნარა. ყოფილა შემთხვევაც, როცა კალაპოტიდან გადმოსულა და მოსახლეობა დაუტბორია. უშუალოდ ვისი ინიციატივით კეთდება და რა სახის სამუშაოებს მოიცავს?

__ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ გვიმსჯელია, თუ როგორ, რა ფორმით გამოგვენახა თანხა, რომელიც ამ პრობლემას მოგვარებადს გახდიდა.

მე, პირადად, გახლავართ საქართველოს თვიმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი. კოლეგების დახმარებით ჩვენმა საკრებულომ ძირითადი, პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად თხოვნით მიმართა შვეიცარიის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს სამხრეთ კავკასიაში და თან წარვუდგინეთ კეჭნარის კალაპოტის გაწმენდისა და ნაპირდაცვითი ღონისძიებების პროექტი, სადაც აგრეთვე გათვალიწინებული იყო ქალაქში შემოსასვლელი გზაგამტარი ხიდის გამაგრება. წყლის ოდნავი მომატების შემთხვევაში შესაძლებელი იყო ქალაქის მოსახლეობის 20-30 პროცენტს საშიშროება დამუქრებოდა, პროექტი მოწონებული იქნა და თანხმობა განაცხადეს დაფინანსებაზე. შეთახმების გაფორმებიდან რამდენიმე დღეში თანხის 50% ჩამოგვერიცხა. ამის შემდეგ შესაძლებლობა მოგვეცა დაგვეწყო გათვალისწინებული სამუშაოები. თითქმის კალაპოტის გაწმენდა დამამთავრებელ ფაზაში შედიოდა, მაგრამ გაუთვალისწინებელი, კოკისპირული წვიმების გამო ისევ ამოივსო კალაპოტი ჩამოტანილი ქვიშა-ღორღით.

აღსანიშნავია, ეს სამუშაოები რომ არ ჩაგვეტარებინა, სტიქიას ვერ გადავურჩებოდით. მუშაობა გაგრძელდება. შეიძლება პროექტში რაღაც ცვლილება შევიტანოთ.

რაც შეეხება სხვა პრობლემებს, ჩემი დიდი სურვილია რაიონის გამგეობამ და ქალაქის საკრებულომ ერთად, შეთანხმებულად გადაჭრას ყველა მოგვარებადი პრობლემა.

ქალაქისათვის აუცილებელი პირობას წარმოადგენს სანიაღვრე არხების მოწესრიგება. გაკეთებულია ნაგავსაყრელი, მაგრამ ტრანსპორტის არქონისა და სხვა პრობლემების გამო ვერ ვახერხებთ მოსახლეობიდან ნაგვის გატანა. კარგი იქნება თუ ცალკეულ უბნებში დაიდგმება ბუნკერები, ქალაქიც აღარ დანაგვიანდება და ჩვენც როგორღაც შევძლებთ მათ დაცლას.

მოვჭერით გადაბერებული ალვის ხეები, რითაც წლების განმავლობაში საფრთხე ექმნებოდა მოსახლეობას და იქ განლაგებულ კომერციულ სტრუქტურებს. მომავალ წელს გვინდა განვაახლოოთ ახალი ნარგავებით. ესეც მინდა ვთქვა, ძალიან კარგია რაიონის გამგეობის უშუალო ხელმძღვანელობით დაიწყო გვიშიანის სახელობის პარკის აღდგენა. ჩატარდა შემოღობვითი სამუშაოები და ა.შ. ვფიქრობთ, შესაძლებლობის ფარგლებში კეთილმოვაწყოთ. ეს ერთ-ერთი საუკეთესო პარკი იქნება ქალაქისათვის. ასე რომ, საკეთებელი ბევრია და შევძლებთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქალაქის იერ-სახის გამშვენიერებაში.

ეკა ყვირილიანი

ჰუმანიტარული დახმარება ნაციონალური პარტიისაგან

როცა აბობოქრებულმა სტიქიამ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეს განსაკუთრებულად შემოუტია, პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ცნობილი გახდა, რომ უამრავი ადამიანი მზად იყო ჩვენთვის არა მარტო სულიერი თანადგომა, არამედ მატერიალური დახმარებაც გაეწია. დამეთანხმებით ასე ექსტრემალურ სიტუაციაში მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს დიდ საჩუქარს გიგზავნიან თუ მცირეს, ჯერ ერთი თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „საჩუქარს კბილს არ უსინჯავენ“ და მეორეც––მთავარია ამ დროს ვიღაცას შენი ტკივილი სტკივა, შენი ნაკეთები და ნალოლიავები სახლის წყალსგატანებული კარ-ფანჯარა ენანება და ბოლოსდაბოლოს მოყვასი უყვარს...

პირველი, ვინც ლეჩხუმელთა სატკივარს გამოეხმაურა საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გახლდათ. უამრავი ადამიანი აკითხავდა თურმე ცენტრალურ ოფისს და პირველი სამი დატვირთული ტრაილერი ჩვენი მხარისკენ დაიძრა. ტვირთი რაიონში ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა პარლამენტარმა ვალერი გიორგობიანმა ჩამოაცილა და რადგან ლაჯანურის ხეობის მოსახლეობა მართლაც და სერიოზულად დაზარალდა, დახმარებაც სწორედ იქ შეიტანეს.

ლაჯანის სკოლა-ინტერნატში ხუთჯერიანი დროშებით დამშვენებულ სატვირთო მანქანებსა და სამხედრო ფორმიან მძღოლებს დაზარალებული მოსახლეობა იმედის თვალით შეცქეროდა და ხვალინდელი დღის იმედის ნაპერწკალიც ღვიოდა.

ჩვენ გავესაუბრეთ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს, პარლამენტარ ვალერი გიორგობიანს და ვთხოვეთ დეტალურად გავერკვიეთ აღნიშნული საკითხების თაობაზე:

—ბატონო ვალერი! დავიწყოთ იქიდან, რომ სტიქიამ ძლიერ დააზიანა ჩვენი რაიონი და განსაკუთრებით ლაჯანურის ხეობა. თქვენ პირველი დღეებიდანვე უშუალოდ ჩაერთეთ ამ პროცესებში. რაც თქვენი თვალით უკვე ნახეთ —რა მდგომარეობაა?

––ჩემი თვალით რაც ვნახე ყველაფერი შეიძლება ითქვას, რომ ტრაგიკულია. თვალით ნანახიც კი არ არის ადვილი, სათქმელად კი კიდევ უფრო ძნელი, რაც ხალხმა წლების მანძილზე შექმნა––სახლი, სახნავ-სათესი, მრავალწლიანი ნარგავები, ყველაფერი განადგურებულია ერთი ხელის მოსმით, ერთ საათში. ალბათ ბუნებისა და სტიქიის წინააღმდეგ ყველანი უძლურები ვართ, მაგრამ ასე უმოწყალოდ ყველაფრის დაკარგვა საცოდაობაა. უბედურებაა ისიც, რაც ახლა ლენტეხში ხდება. თუ დროზე არ მივხედეთ აქაურობას, ყველაფერი დაიკარგება. მე მქონდა პირადი საუბარი ჩვენს რაიონში სტუმრად მყოფ პრემიერ-მინისტრთან ბატონ ზურაბ ნოღაიდელთან და როცა თბილისში დავბრუნდები იქაც ვიტყვი ჩემ სათქმელს. თუ გვინდა რომ შევინარჩუნოთ ეს ხალხი, ეს ხეობა ყველამ რაღაც ქმედითი უნდა გავაკეთოთ.

—თქვენ თქვით, რომ სტიქიასთან მართლაც ყველანი უძლურები ვართ, მაგრამ რა გეჩვენებათ ყველაზე მეტ ეფექტურ მოქმედებად, რომ რაღაც ცოტათი მაინც გაუმჯობესდეს იმისთვის, ხვალ ლეჩუმი რომ არ დაიცალოს?

––გულით მიდგომა საქმის მიმართ! სწორად აღქმა იმისა, რაც აქ ხდება! თუ ამას ყველაფერს სწორადა აღვიქვამთ, ვაკეთებთ იმას, რაც საჭიროა. პრობლემა ერთი და ორი დღის მოქმედებით არ წყდება. ახლა ის, რომ წყალსაცავის დაცვა რამეს გვიშველის და ამის იმედზე ვიყოთ, ასე ფიქრი არ შეიძლება. დღეს თუ დაცლიან, ხვალ ისევ შეავსებენ და პრობლემა პრობლემად დარჩება. აქ უნდა გაკეთდეს მაღალი ნაპირსამაგრისები და ელემენტარულად წყალს უნდა გასასვლელი მივცეთ.

—ახლა უშუალოდ ჩვენი სტუმრობის მიზეზზე გკითხავთ. ჩვენი ტელე-პრესის საშუალებები აცხადებდნენ, რომ საქართველოს ერთი ნაციონალური მოძრაობა პირველად ინიციატორი იყო დახმარებოდა დაზარალებულ რაიონებს ჰუმანიტარული ტვირთით. თანაც პირველი ტვირთი ჩვენს მხარეში, ჩვენს რაიონში დაიძრა, რომელიც უშუალოდ თქვენ ჩამოაცილეთ. ცოტა უფრო დაწვრილებით აი ამ თემაზე...

––ნამდვილად ასე იყო. ჩვენი ნაციონალური მოძრაობა პირველი გამოეხმაურა ამ პროცესებს. ბატონმა გიორგი არველაძემ მოუწოდა ხალხს დახმარებისაკენ და ყველა რაიონის პარტიულ ოფისებს სთხოვა მცირე წვლილი გაეღოთ დახმარების შეგროვებაზე. პირველი ტვირთი მართლაც რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისკენ დაიძრა, მაგრამ ეს ტვირთი დარიგდება ჩვენს ხეობაში (ლაჯანურის ხეობას) და რაღაც ნაწილი ლენტეხის რაიონში. არის შემონაწირები ტანსაცმლის სახით, ჩვეულებრივი მოქალაქეებისაგან, პურის ფქვილი, რომელშიდაც უდიდესი დახმარება უშუალოდ ჩემმა მეგობრებმა გამიწიეს, არის ბურღული, პირველადი მოხმარების საგნები, ისევ ჩემი მეგობრების, კერძოდ „ენისელი“ „დავით სარაჯიშვილის“ კომპანიისაგან და სხვა უამრავი ადამიანებისაგან. კიდევ არის შემოთავაზებები და რადგან ძირითადი ტვირთი უშუალოდ ჩემი თანაპარტიელებისა და მეგობრებისგან მოდიოდა, აღრესატიც ჩემი რაიონი, ჩემი ხეობა გახდა. პარტიის ხელმძღვანელობამაც ასე გადაწყვიტა. მალე დახმარება ისევ და ისევ პარტიისაგან გაემართება ონის, ლენტეხის რაიონებში. მე მადლობა მინდა ვუთხრა ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობას ასეთი გადაწყვეტილებისათვის. მეც უდიდესი სურვილი მქონდა ამ ძნელბედობის ჟამს ჩემს ხალხთან ვყოფილიყავი და არა მარტო მატერიალური, არამედ მორალური დახმარებაც გამეწია მათთვის. მგონი რაღაც იმედის ნაპერწკალი გავუღვიძე კიდეც და არა შეპირებით, არამედ პრაქტიკული საქმით. მე მკერდზე მჯიღის დარტმა და დაპირებებით არ ვაპირებ დროის გაყვანას, არამედ სწორედ ასეთი პრაქტიკული ნაბიჯებით, რადგან შევარდნაძისა და ფუჭი დაპირებების დრო წარსულს ჩაბარდა, უბრალოდ წავიდა... იცით რომ პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი უშუალოდ გაეცნენ მდგომარეობას, ასე რომ არ ყოფილიყო და ქმედითი ნაბიჯების სურვილი რომ არ ჰქონდეს ახლანდელ ხელისუფლებას, ალბათ არც დაინტერესდებოდნენ. პრემიერმინიტრმა ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ 20 მილიონი უკვე გამოყოფილი აქვს მთავრობას, აქედან ალბათ პირველ ეტაპზე გზებზე ხიდებზე დაიხარჯება თანხები, შემდეგ კი მოსახლეობის კომპენსაციისათვის. მე ვარ იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელიც ცოტას ლაპარაკობს და ბევრს აკეთებს.

—ტვირთი დარიგდა მხოლოდ ლაჯანურის ხეობაში და ალბათ იმიტომაც, რომ სწორედ აქ განიცადა ხალხმა სტიქიის უდიდესი დარტყმა?

––ცაგერის რაიონში ასეთი სახის ზარალი, რაც ლაჯანურის ხეობაში მოხდა, არსად მომხდარა. ოჯახები, სოფლები მოწყვეტილია ცენტრს კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ––ეს არ არის სახელმწიფოდან წამოსული დახმარება, არამედ ეს არის პარტიისა და პირადად ჩემი დახმარება.

—ვინ დაგეხმარეთ კატეგორიების განსაზღვრაში ანუ ელემენტარულად იმის დადგენაში, ვისთვის უნდა მიგეცათ ტვირთი?

––ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია და თვითონ მოსახლეობა. (აქ ჩვენი ინტერვიუ შეწყდა, რადგან ტვირთის ასაღებად მისულმა მოსახლეობამ გულზე რომ მიეხუტებინათ კეთილი ადამიანებისაგან ნაბოძარი ნივთები, სრულიად გულწრფელი სიყვარულითა და იმედჩასახული თვალებით შუაში მოიქციეს ჩემი რესპოდენტი და მადლიერების გრძნობით გამსჭვალულებმა ლოცვითა და თბილი სიტყვებით გამოხატეს მათი´ დამოკიდებულება ბატონი ვალერისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მისამართით.

P.S. წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა ტელეკომპანია „იმედმა“ კიდევ ერთი სასიამოვნო ინფორმაციაა მოგვაწოდა. 10 დატვირთული მანქანა, ისევ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ეგიდით, უშუალოდ ცაგერისაკენ გამოემართათ, ტვირთი ისევ ბატონი ვალერი გიორგობიანის ხელმძღვანელობით შემოვიდა 4 მაისის სისხამ დილით და იმათ იმედად, ვინც ასე დააზიანა სტიქიის სიმკაცრემ.

ჩვენ გავესაუბრეთ საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მცხეთის, სიღნაღის, გურჯაანის რაიონულ ორგანიზაციების წარმომადგენლებს:

სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი ირაკლი სულიაშვილი:

„კეთილი იყოს ჩემი ფეხი თქვენს მხარეში. თქვენთან დიდი უბედურება მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ დრო ძალიან მცირე გვქონდა, რაც შევძელით მოვაგროვეთ. სიღნაღის რაიონმა 32 ტომარი ფქვილი, ზეთი, მაკარონი, ტანსაცმელი, ეს სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის თაოსნობით გაკეთდა. გულითადად გიძღვნით ამ მცირედს!“.

მცხეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე კახაბერ მელაძე: „უპირველესად მოგესალმებით თქვენს რაიონს და თქვენს გაზეთს, პირველად ვარ, მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა კარგ საქმეზე ჩამოვსულიყავით. ეს ქვეყნის პრობლემაა რაც თქვენთან დღეც ხდება, აქედან გამომდინარე ყველა რაიონმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ამ ლამაზი კუთხის დასახმარებლად. ჩამოვიტანეთ 3 ტონა ფქვილი, ცემენტი, 2000 ცალი კვერცხი, ეს კიდევ გაგრძელდება მანამ, სანამ საჭირო იქნება. ამის ინიციატორი უშუალო ინიციატორი მცხეთის ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციაა“.

გურჯაანის რაიონის ა/ორგანიზაციის საორგანიზაციო მდივანი დავით ჯუნიაშვილი: „მე დამევალა გამოვყოლოდი ამ ტვირთს. აღდგომის წინა დღეებში ჩვენს რაიონში გამოვაცხადეთ ლეჩხუმის მოსახლეობის დასახმარებლად გაუღოთ თუნდაც მცირედი. მოსახლეობამ ეს თხოვნა გულთან მიიტანა და რაც შეიძლება ყველაფერი გაიღეს. მოსულია იმდენს ვერაფერს გააკეთებს ეს პროდუქტი რამდენსაც მორალური თანადგომა, რადგან იგრძნობენ, რომ ამ გაჭირვებაში მარტონი არ არიან და ეს საქართველოს ტკივილიცაა. ეს აქცია ჩატარდა ნაციონალური მოძრაობის ეგიდით და დიდი გამოხმაურებაც ჰპოვა მოსახლეობაში. ამ აქციაში დიდი როლი ითამაშა გურჯაანის ნაციონალური მოძრაობის აღმასრულებელმა მდივანმა, რომელმაც მთელი **აგიტაცია გასწია, ისაა როინ ძოწორაშვილი.**

ჩვენ თქვენს გვერდით ვდგავართ! მადლობა ყველა რაიონს.

მარინა სვანიძე

ახალი სამრეკლო – ძაღლი და ძვალი

—ბატონო თამაზ, მიუხედავად გაუსაძლისი პირობებისა და სტიქიური მოვლენების შემოტევისა, ქალაქში მაინც შეინიშნება მშენებლობა კერძოდ, რაიონულ ცენტრში, ყოფილი კინო-თეატრის ადგილი გაიწმინდა და იქ სამრეკლო აიგო, საალდგომოდ მისი დასრულებული სახე მივიღეთ. ვისი ინიციატივით, რა სახსრებით მოხდა სამრეკლოს აგება და რას გეგმავთ უახლოეს მომავალში?

—მოგეხსენებათ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე განლაგებული იყო ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და კინო-თეატრი „ამირანი“. 1996 წელს ორივე შენობა დაიწვა. მთელი ამ ხნის განმავლობაში დამეთანხმებით ეს ადგილი იყო სავალალო მდგომარეობაში და უხეშად რომ ვთქვათ, ამახინჯებდა ქალაქის ცენტრს.

რაიონის გამგებლად ჩემი დანიშვნის პირველი დღიდან დავიწყე ამ საკითხზე მუშაობა. საკათედრო ტაძართან მისასვლელი გზა საშინელ მდგომარეობაში იყო. დავიწყეთ კედლის მონგრევა, რომელიც ათას პრობლემასთან იყო დაკავშირებული, რადგან მოგეხსენებათ, იქვე აღნიშნულ კედელთან ახლოს სასაფლაოებია განლაგებული. ღვთის შეწევნით, ყველაფერი მშვიდობიანად მოხერხდა. ტერიტორიის მოწესრიგების შემდეგ გადავწყვიტეთ აგვეგო სამრეკლო, რადგან საკათედრო ტაძარს სამრეკლო არ ჰქონდა, არადა საჭიროება მოითხოვდა, რომ ყველაფერი ეს ერთ კომპლექსში მოქცეულიყო. სამრეკლოს მშენებლობის ხარჯები მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან იქნა გამოყოფილი. რაიონული ბიუჯეტში თავიდანვე იქნა სამრეკლოს მშენებლობის ხარჯები გათვალისწინებული.

ქალაქში საკეთებელი ძალიან ბევრია. გვინდა აღნიშნულ ტერიტორიაზე შინმოუსვლელთა სტენდი გადავიტანოთ, თანამედროვე დონეზე გავაკეთოთ შესაფერი პატივი მივაგოთ იმ ადამიანებს, რომლებმაც II მსოფლიო ომში სისხლი დაღვარეს, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს, მაგრამ რაიონულმა გამგეობამ ჩაატარა გამოკითხვა შინმოუსვლელთა სტენდის გადატანასთან დაკავშირებით, გამოკითხვის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, სტენდის გადატანა და შესაფერისი პატივის მიგება ისევ დგას რაიონულ გამგეობის დღის წესრიგში.

რაიონული გამგეობის უახლოესი მომავლის გეგმა არის მიხეილ გვიშიანის სახელობის (კეჭინარის) პარკის აღდგენა. გარკვეული სამუშაოები უკვე დაწყებულია.

ეკატერინე ბენდელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობდ, ხვალინ არგუმენტვალი მოსალოდნელია

სასამართლოთა მოსალოდნელ გაერთიანებასთან დაკავშირებით არსებობდა რამოდენიმე ვერსია. ბოლო ვარიანტი ითვალისწინებს ცაგერის, ლენტეხის, ონისა და ამბროლაურის სასამართლოთა გაერთიანებას. სად უნდა განთავსდეს ახლად ჩამოყალიბებული სტრუქტურა, ამის თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ ცაგერის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარეს ქალბატონ ***ლეილა გურგუჩიანს.***

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის დადგენილებით 2003 წელს დამევალა მმართველი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება ცაგერის, ლენტეხის, ონისა და ამბროლაურის რაიონებში, რის გამოც მომიხდა რეგიონის ჩამოყალიბების საკითხისა და მასში შემავალი რაიონების უმნიშვნელოვანესი პრობლემების შესწავლა. აღნიშნულიდან გამომდინარე თავს უფლებას ვაძლევ მოგაწოდოთ რიგი მონაცემები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეგიწყოთ სასამართლოთა მოსალოდნელ გაერთიანებებთან დაკაშირებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტაში.

1995 წლის 12 მარტს შეიქმნა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ადმინისტრაციული აპარატი, რომელშიც შედის ოთხი რაიონი და საქართველოს რეგიონებად დაყოფის შემდეგ რაჭა-ლეჩხმ-ქვემო სვანეთის მხარედ მოიხსენიება, ცენტრს ტერიტორიული თვალსაზრისით ცაგერიის რაიონი წარმოადგენს, სადაც სასურველია განთავსდეს ახლად ჩამოყალიბებული სასამართლო შემდეგი გარემოებიდან გამომდინარე:

ცაგერის რაიონული სასამართლოს აქვს სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სხდომის ორი დარბაზი, 10 კაბინეტი, იზოლირებული კანცელარია, ბიბლიოთეკა, პატიმართა განთავსების საკანი ოთხ კაცზე, 1600 კვადრატული მეტრი ეზო), რომლის საბალანსო ღირებულება 117805 (ასჩვიდმეტიათასრვაასხუთასი) ლარს შეადგენს. ამბროლაურის სასამართლო კი განთავსებულია გამგეობის შენობაში გამოყოფილ ოთხ ოთახში. მათთვის გათვალისწინებული დაუსრულებელი შენობა, რომელიც იუსტიციის სამინისტროს წაყენებულ ბალანსზე იმყოფება, სპეციალისტთა დასკვნით ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, არ აქვს მყარი საძირკველი და სარტყელი, რის გამოც თავის დროზე საჭიროდ არ სცნეს მისი დასრულება.

ამბროლაურის რაიონიდან ონის რაიონამდე მანძილი შეადგენს 28 კილომეტრს, ცაგერის რაიონამდე 50 კილომეტრს, ლენტეხის რაიონამდე 77 კილომეტრს ეს მონაცემები ასახავს მანძილს მხოლოდ რაიონული ცენტრებს შორის, რაც თითქმის თანაბარია ონიდან ცაგერამდე და ლენტეხიდან-ამბროლაურამდე, სხვაობა ერთი კილომეტრია, ამის მიუხედავად მართებული არ იქნება მასზე დაყრდნობით გადაწყდეს გაერთიანებული სასამართლოს ადგილსამყოფელის შერჩევის საკითხი, ვინაიდან ლენტეხის რაიონის „ცანას“ საკრებულოში შემავალი სოფლები ცაგერის რაიონიდან 97 კილომეტრითაა დაშორებული, ამბროლაურის რაიონიდან–147 კილომეტრით (სხვაობა 50 კმ) „ჩიხარეშის“ საკრებულოში შემავალი ცხრა სოფელი ცაგერის რაიონიდან 74 კილომეტრის, ხოლო ამბროლაურის რაიონიდან 124 კილომეტრის მანძილზე იმყოფება. „ჩოლურის“ საკრებულოში შემავალი სოფლები ცაგერიდან დაშორებულია 60 კილომეტრით, ხოლო ამბროლაურიდან 110 კილომეტრით, მაშინ როცა ონის რაიონული ცენტრიდან ყველაზე შორს მდებარე სოფელ „ღებამდე“ 34 კილომეტრია, სოფელ „მრავალძალამდე“ –32 კილომეტრი და ყველაზე დიდი მანძილი რაც უნდა გაიაროს „ღებში“ მცხოვრებმა ცაგერში ჩამოსვლამდე 112 კილომეტრს შეადგენს. ლენტეხის რაიონის „ცანას“ საკრებულოს მცხოვრებთ, სადაც საკმაოდ კომპაქტური დასახლებაა, ამბროლაურში ჩასასვლელად 147 კილომეტრის გავლა მოუხდებათ, ე.ი. 35 კილომეტრით მეტის, ვიდრე „ღებელის“ ცაგერში ჩამოსვლისას.

გასათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ ამბროლაურის რაიონის მოსახლეობის 15,8 პროცენტი, ონის რაიონის მოსახლეობის 36,0 პროცენტი ე.ი. მოსახლეობის საერთო რაოდენობის 51,8 პროცენტი ქალაქში ცხოვრობს, მაშინ როცა ცაგერის რაიონის მოსახლეობის მხოლოდ 11,8 პროცენტი და ლენტეხის რაიონის მოსახლეობის 19,3 პროცენტი არის რაიონულ ცენტრში მცხოვრები (რაჭის მოსახლეობაზე 20,7 პროცენტით ნაკლები), მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კი სოფლადაა დასახლებული (ცაგერში 88,2 პროცენტი, ლენტეხში 80,7 პროცენტი).

2002 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ამბროლაურის რაიონში 16225, ონში–9182, ცაგერში–1658, ლენტეხში დღეის მდგომარეობით–9392 მცხოვრებია, სულ რაჭაში 25407 კაცი ცხოვრობს, ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთში 25950–443 ერთეულით მეტი.

2005 წლის 1 აპრილის მონაცემებით ამბროლაურისა და ონში 9750 პენსიონერია, ცაგერსა და ლენტეხში–8671, ე. ი. 1079-ით ნაკლები, 80 ერთეულით მეტია შობადობის მაჩვენებელი, ე. ი. ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი მზარდი და შედარებით პერსპექტიული ადმინისტრაციული ერთეულებია.

რეგიონში შემავალ რაიონებში პატიმართა ეტაპირება ხდება ქუთაისის №2 საპყრობილიდან, 70 კილომეტრზე—ცაგერის რაიონში, 100 კილომეტრზე—ამბროლაურის რაიონში ამასთან, ზამთრის პირობებში ამბროლაურ–ქუთაისის გზის მონაკვეთზე, „ნაქერალას“ უღელტეხილზე ხშირ შემთხვევაში მოძრაობა შეზღუდულია, ცაგერი—ქუთაისის მიმართლებით გზა მიმდინარე წლის მძიმე მეტეოროლოგიური პირობების გამოც (დიდთოვლობა, გახშირებული წვიმები და მეწყერიანობა) არ ჩაკეტილა.

2004 წელს ცაგერის რაიონულ სასამართლოში განხილულ საქმეთა რაოდენობამ გადააჭარბა ლენტეხის, ონისა და ამბროლაურის რაიონულ სასამართლოთა მიერ დამთავრებულ საქმეთა საერთო მაჩვენებელს, ანალოგიური სიტუაციაა მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც.

ცაგერის რაიონში ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბება თანაბარ პირობებში ჩააყენებს რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თითოეულ მაცხოვრებელს სასამართლოსთან მისაწვდომობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებების განხორციელების საკითხში.

ლეილა გურგუჩიანი

მოსაზრება «თაკვერის» სახელწოდების შესახებ

ვუძღვნი მამაჩემის ჭიჭიკო ხეცურიანის ნათელ ხსოვნას

ცაგერიდან წამოსულს, ვიდრე სარეწკელას კლდეკარს გაივლიდეთ, ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობს შეფენილი პატარა სოფელი–ლარჩვალი დაგხვდებათ. სოფელში ოცდაათამდე კომლი ცხოვრობს. აქაურები ერთმანეთს გვერდით უდგანან ჭირსა და ლხინში, შრომობენ, უხარიათ, დარდობენ... ცხოვრობენ ისე, როგორც ცხოვრობს მთელი ლეჩხუმი.

ამ სოფლის მკვიდრი იყო მამაჩემი–ჭიჭიკო ხეცურიანი, კაცი მშრომელი, ოჯახის, ნათესავ–მოყვარის, მეზობლის, სოფლის ერთგული, დიდი და ლამაზი სულის პატრონი, კეთილსინდისიერი, ცნობილი მონადირე, სტუმართმოყვარე. სად, რომელ ქალაქსა და სოფელში არ ჰყავდა მეგობარი, ნაცნობი, მოკეთე. უყვარდა სხვების მოსმენა და თვითონაც კარგი მთხრობელი იყო. ძალიან უნდოდა ვინმეს გამოეკვლია სოფლის ისტორიული ადგილები, რადგან ღრმად სწამდა, რომ იგი საინტერესო წარსულის მქონეა.

ის თვლიდა, რომ ე. წ. კბილებიანი კლდის თავზე აღმართული ნაციხარი ფრიად საყურადღებოა. ნაციხარი სოფლის უმაღლეს მთაზეა აშენებული. ნახევარი საუკუნის წინ ნაციხარს დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლის ქვის კედელი ჰქონდა. ნვიმამ, ქარმა, მზემ, თოვლმა, უყურადღებობამ, დრომ იმუშავა და ამჟამად საფუძვლამდე დანგრეულია. იქედან ცხენისწყლის ხეობის ყველა სოფელი კარგად ჩანს, ასევე ლაჯანურის ხეობის სოფლებიც. მთას, სოფლის მხარეზე—ბაირაღი ჰქვია, მეორე მხარეს, რომელიც კლდიანი და ძალიან დაქანებულია მდინარე ჯონოულისკენ—საკვერია. თუ საკვერიადან, ანუ ბაირაღიდან, ანუ ნაციხარიდან სოფელ ჩქუმისაკენ ნახვალთ, მშვენივრად შენახული გზით, გადაივლით „ლახტორიას“ (ადგილს, სადაც სახელგანთქმული თავის საბან მინას იღებდნენ), გადასასვლელში მეორე ნაციხარს ნაანყდებით. ეს ადგილი ვიდრე სოფ. ჩქუმამდე—საკვირისთავოა.

დღემდე სადავოა სახელწოდება „თაკვერის“ ირგვლივ ბევრი რამ: თაკვერი, როგორც ლეჩხუმი, თაკვერის გზა—სად გადიოდა იგი, თაკვერის ციხე—სად მდებარეობდა...

მამაჩემი ფიქრობდა, რომ სოფლის მთავარი ციხე, რომელიც კბილებიან კლდის უმაღლეს ადგილზეა აღმართული—თაკვერის ციხე იყო, მეორე ციხე სოფლის თავში მდებარეობს და თაკვერის თავი ეწოდებოდა, სოფელიც თაკვერი იყო. დროთა განმავლობაში სიტყვებმა „თაკვერი“ და „თაკვერის თავი“ ცვლილება განიცადა და დარჩა „საკვერია“ და „საკვირისთავო.“ ლეჩხუმში სახელებისათვის –ია დაბოლოება უცხო არ არის: გურამია, ლადოია, ლამარია... სადათვია, სამგლია... თაკვერი–თაკვერია–საკვერია.

სოფელი ადრეულ საუკუნეებში ცხენისწყალის ნაპირიდან უფრო ზევით მდებარეობდა ე. წ. „წვერზე“ ნაციხრებთან ახლოს. იგი დაიმენყრა და მოსახლეობა იძულებული გახდა უფრო ქვევით, მდინარის ნაპირისაკენ ფერდობებზე შეფენილიყო. ამჟამად ზედა ლარჩვალი დაუსახლებელია. ლარჩვალი—ნამეწყერსნიშნავს სვანურად. ის ამ სახელით მე-18 საუკუნიდან გვხვდება. რადგან ცხენისწყალის ხეობის სოფლები უმეტესად სვანეთისა და სამეგრელოს თავადების გავლენის ქვეშ იყო, საფიქრებელია, რომ სახელიც დამეწყვრის შემდეგ მათ შეურჩიეს და როგორც ლეჩხუმის სოფლების უმეტეს ნაწილს, ამასაც სვანური წარმოშობის სახელი უწოდეს.

თუ ჩავთვლით, რომ სოფელი თაკვერი იყო და ციხეც თაკვერისა, მაშინ თაკვერის გზაც ადვილი მისაგნებია. ეგრისსა და ჩრდილო კავკასიის ხალხებს შორის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა „თაკუერის გზა“ იყო. ჩრდ. კავკასიელი ხალხი მამისონის უღელტეხილის გავლით, ჯერ რაჭას, შემდეგ ლეჩხუმს ალბათ დაახლოებით ასეთი მარშრუტით გაივლიდნენ: თაბორი–ლაილაში–დეხვირი–ლარჩვალი ანუ „თაკვერი“–ჩქუმი–ქულბაქი–ჯვარი, ე. ი. ეგრისი.

თაკვერის ციხეებს, ამ შემთხვევაში, ევალებოდათ ერთის მხრივ ზუბი–ოყურეშის, მახურა–ისუნდერისა და ხვამლისაკენ და მეორეს მხრივ ჩქუმ–ქულბაქისაკენ მიმავალი გზების კონტროლი და დაცვა, რასაც ადვილად მოახერხებდნენ სტრატეგიულ და ხელსაყრელ ადგილზე აშენებული ციხეები. აქაური მეციხოვნები ადვილად დაამყარებდნენ კავშირს ლეჩხუმის თითქმის ყველა ციხესთან–ცეცხლის დანთება იქნებოდა ეს თუ მაცნეების გაგზავნა, რადგან ეს ციხეები თითქმის ყველა დანარჩენი ციხეებიდან კარგად ჩანს.

მამაჩემი ამბობდა, რომ კბილებიანი კლდიდან ქვედა სარეწკელაში ჩქუმის მიმართულებით ჩასასვლელი გზის ბოლოს, ნავანების ეკლესიის პირდაპირ, ვიდრე მდ. ჯონოულში გახვალთ, ჭიშკარი უნდა ყოფილიყო, კლდეზე ისეთი მინაშენიაო.

საკვირისთავოდან (თაკვერის თავიდან) სოფ. წიფერჩის მიმართულებით კიდევ ერთი საყურადღებო ადგილია, მას „საზარო“ კლდე ჰქვია. გადმოცემით ამ კლდის თავზე მაღალი ბოძი იყო აღმართული მასზე მიმაგრებული თუნუქის დიდი ფირფიტით და საფრთხის შემთხვევაში, ან როცა ირგვლივ მდებარე სოფლების მცხოვრებთა შეკრება იყო საჭირო, ხის დიდი ურუოთი შემოჰკრავდნენ, იგი უზარმაზარ ხმას გამოცემდაო.

ციხის ქვეშ ე. წ. „ჩეროში,“ ზედა და ქვედა ტბებზე (ეს ადგილები ახლა მინდვრებია) ორი სალოცავი ადგილია. ერთი–მთავარანგელოზის და მეორე–ფალოსის. იქ ახლაც მიდიან მლოცველები. უფალს, მთავარანგელოზს თავიანთ სათქმელს შესთხოვენ და სჯერათ, აუცილებლად აუსრულდებათ.

მდ. ცხენისწყალი და მისი შენაკადი სოფლის ღელეები, ასე ღრმად არ იყვნენ ჩაჭრილი, როგორც ახლაა; საუკუნის განმავლობაში სოფლის ხედი სულ იცვლება და იცვლება, იმ ქვეყნად მიდიან ადამიანები, ვინც ასე თუ ისე რაიმე იცის სოფლის წარსულზე და სანამ ვინმეს რაიმე ახსოვს და თქმა შეუძლია, იქნებ ვინმემ მამაჩემის ნატვრა აასრულოს, ყველაფერი სათანადოდ შეისწავლოს და გამოიკვლიოს და თუ კი მამაჩემის მოსაზრებები დადასტურდება, აღარ იქნება სადაო დიდი გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის ასე თუ ისე საეჭვოდ მიჩნეული აღწერა:

„ხოლო გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ხეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკუერად, არამედ მოიგო სახლი ესე გარემოსთა მთათაგან, კუერსათვით მდებარესა–იხილეს ეს მთა კუერი–ანუ ციხისაგან ფრიად მაგრისა მუნვე თაკუერისა...“ „ხოლო ამ ცხენისწყალს მოერთვის, გორდს ზეით, ჩდილოდამ, კავკასიის გამომდინარე ხევი, და ამ ხევზედ არს ციხე თაკუერი, მაღალს კლდესა ზედა დიდშენი და ფრიად მაგარი“ (ქართლის ცხოვრება IV ტ. ბატონიშვილი ვახუშტი “აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ გვ. 436, 748).

ვინც კბილებიანი კლდის თავზე ნაციხარს ნახავს, გარემოს ყურადღებით დაათვალიერებს, ადვილად დარწმუნდება, რომ მთის მოხაზულობა „კვერს“ მართლაც ჰგავს.

ბევრი რამ იყო ჩვენი ქვეყნის წარსულიდან საიდუმლოებით მოცული კვლევა-ძიებით რომ გაირკვა, იქნებ ლარჩვალის შემთხვევაშიც ასე მოხდეს.

ფატი ხეცურიანი
25/IV-2005 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანპირების შესრულებამ გაგვახარა

დღეს, ჩვენს გაუსაძლის ყოფაში, კაცისაგან გაკეთებულ სიკეთეს მადლი და ფასი ნამდვილად სჭირდება. ისე, ადამიანები მგონი გადავეჩვიეთ დანაპირების შესრულებასაც, მადლის დანახვასაც და სიკეთის ქმნის სურვილიც გაგვიქრა...

მთელი სოფელი გაგვახარა რამდენიმე კვირის წინ სოფლის ტერიტორიაზე 5 ვატიანი სადგურის დადგმამ, რომლის ღირებულება 2500 დოლარია. მან საშუალება მოგვცა ვუყუროთ ტელეგადაცემებს, რაც ჩვენი დიდი ხნის ოცნება იყო.

სოფელ აღვის მოსახლეობის სახელით გვინდა უდიდესი მადლიერების გრძნობა გამოვხატოთ ჩვენი სოფლის ღირსეული შვილის, ცაგერის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონი ავთანდილ სილაგაძისადმი. ბატონმა ავთანდილმა ერთ-ერთი შეხვედრის დროს აღგვითქვა დახმარება. დღეს კი დანაპირების შესრულებით გაგვახარა.

ბატონო ავთანდილ! უფალმა მოგმადლოთ სიკეთის ქმნის ძალაც და სურვილიც.

ოლეგ მიქაძე, ომარ მიქაძე, მურთაზ მიქაძე, ბორის ჩხეტიანა, გრიშა ახვლედიანი

დედაენის დღე მოსწავლეთა სახლში

14 აპრილს ქვედა ცაგერის საშუალო სკოლის II-IV კლასის მოსწავლეებმა დედაენის დღე იზეიმეს, ისინი, პედაგოგებთან ერთად, ცაგერის მოსწავლეახალგაზრდობის სახლს ესტუმრნენ, სადაც მშვენიერი საღამო მოაწყვეს.

„მსოფლიოში დაახლოებით სამიათასამდე ენა არსებობს, ანბანი კი მხოლოდ თოთხმეტი: არაბული, ბერძნული, ებრაული, ქართული, ეთიოპიური, იაპონური, ინდური, კორეული, ლათინური, მონღოლური, სირიული, სლავურ-კირილური, სომხური და ჩინური, მათ შორის ქართული ენა და ანბანი უნიკალურია, ყოველ ბგერას ცალკეული ასო შეესაბამება, ყოველი ასო მუდამ ერთი და იგივე ბგერის აღმნიშვნელია. ცნობილია ქართული ანბანის სამი სახეობა: ასომთავრული (IX ს-მდე), ნუსხური (IX-XI), მხედრული (XI ს-დღემდე).“

პატარები ერთმანეთს ცვლიდნენ ლექსითა თუ სიმღერით, შინაარსიანი, ფრთიანი ფრაზებით. ისინი პედაგოგების კარგ გემოვნებასა და მომზადების მაღალ დონეს ავლენდნენ, მათი პედაგოგები, ქალბატონები ლუბა გუგავა და აზა ლიპარტელიანი ხომ ძალას არ იშურებენ, რათა ისინი კარგ აღზრდილებად და ადამიანებად ჩამოყალიბდნენ.

ბავშვებში მუსიკალური ნიჭიც მკაფიოდ იკვეთება, რამაც კიდევ უფრო გაალამაზა საღამო და რაც, უდავოდ, მათი მუსიკის მასწავლებლის, ქალბატონ ნათელა ქომეთიანის დამსახურებაა.

მათი ღონისძიება დადებითად შეაფასა მოსწავლეახალგაზრდობის სახლის დირექტორმა, ქალბატონმა ციური ახვლედიანმა და მოუწოდა, კიდევ უფრო ხშირად ეჩუქებინოთ ჩვენთვის ასეთი მშვენიერი დღეები. პატარებმა ზეიმის ბოლოს გაზაფხულის მშვენიერი ყვავილები მიუძღვნეს მოწვეულ სტუმრებს, დიდი მადლობა მათ!

თამარ დავითულიანი

9 აპრილი_ ჩვენი ტკივილი და სიამაყე
გმირნო, მამულის მადიდნო!

მოდიოდა საქართველო მარადისობის გზაზე ბრძოლითა და თავდადებით, რწმენითა და იმედით, ხმლით კაფავდა კარსმომდგარ ხონთქარს, რამეთუ არ ყოფილიყო დამონებული და შთამომავლობას არ ენახა ზნეამაღლებული ერის ნგრეული ნაშთი, მაგრამ ვერ ასცდა საქართველო საშინელ სასჯელს, ვერც მე-20 საუკუნემ მოიტანა ერეკლეს ნაფიქრალი მშვიდობა და თავისუფლება.

ირწეოდა აკვნები, იზრდებოდნენ ვაჟკაცები, მათი მარჯვე მარჯვენა დღესაც ახსოვს ჩვენს_მიწას, მათი ომახიანი შეძახილები ავსებდა სოფელს, ქვეყანას. სამშობლოს დაძახილზე წავიდნენ და უკან აღარ დაბრუნებულან, მოუშუშებელი იარა დაუტოვეს მშობლებს. „იავნანა“ ესმოდა, ბრძოლის ველზე იმ სამას არაგველს, მტერს რომ შეაკვდა და იმ მრავალ უსახელო უფლისციხელს, ვისი სისხლიც კრწანისის მიწას დღემდე უთვალავ ყაყაჩოდ აჩნია, არადა „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი, არა დაღვრილის დასაღვრელის ალბათ, მაცნეა.“ მართლაც მაცნენი არიან სისხლისფერი ყაყაჩოები ჩვენი დიადი წარსულისა, გმირების დაღუპვისა... და ვინ შესწირა თავი საქართველოს ბედს, თუ არა გიორგი სააკაძემ, თევდორე მღვდელმა, ცოტნე დადიანმა და ა. შ.

რაოდენ ძნელია, წერო იმ ბიჭებზე, რომელთაც ღიმილი პირზე შეეყინათ და ბრძოლის ქარტეხილებმა ჩაახშო მათი სული. ღიმილის ბიჭები... რამდენი სევდა, ტკივილი და ცრემლია ამ სტრიქონებში, ისინი ხომ სამშობლოს დაძახილზე წავიდნენ და აღარ დაბრუნებულან, გულით ეკვროდნენ მშობლიურ მიწას სიკვდილის წინ და ღიმილი კი არ სცილდებოდათ, ოცნება ჩანაქსოვი სამკუთხა ბარათები ამოუფრიალდებოდათ ჯიბიდან, გულზე მიიდებდნენ და სიკვდილს ეგებებოდნენ. ასე წავიდა ბოლოკა, გიორგი, ჭკუისკოლოფა...რომელთა ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს:

21-ე საუკუნე_თითქოს ომების მივიწყების ხანაა, მაგრამ მაინც ძნელბედობის ქამი, რადგან აფხაზეთი მოურჩენელ იარად დარჩა. ტკივილად, რომელსაც ვერ ეგუება ვერც ერთი ქართველი, მან ხომ უამრავი სიცოცხლე შეიწირა, გმირთა სახეები ხომ აქაც ბევრია. ეს მებრძოლები იმ ჯინსების თაობაა, რომელთა შემეცნებაში ომი მხოლოდ წარმოსახვა იყო, მაგრამ ქვეყნის სიყვარულმა ისინიც სადარაჯოზე დააყენა და შეეწირნენ კიდეც... და იყენენ იგინი და იგინი ქვეყნის მოჭირნახულე და უბადრუკნი.

ჩვენი ვილოცებთ მათი სულის გადასარჩენად.

გმირები არიან ჩვენი თანამედროვეებიც თამრიკო, გიორგი, ელისო... გულით რომ ეკვროდნენ მშობლიურ მიწას 9 აპრილის ღამეს და სიმღერით ეგებებოდნენ აზვირთებულ ტანკებს. სისხლიანი ღამის ნაკვალევი არ იშლება ჩვენს მეხსიერებაში. თაობიდან თაობას გადაეცემა მათი ნამოღვაწარი. „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“__ასე ჩუქნიდნენ იმ ღამით ერთმანეთს სიყვარულს.

როცა საქართველოს აღორძინების ხანა დადგება ამ გმირთა სახელით სვეტიც უკვდავად აღიმართება შთამომავლობის წინაშე. „ვაჩუქოთ ერთმანეთს ზღაპრები, ვაჩუქოთ ერთმანეთს წლები.“

იღიმილეთ ქართველებო, ააგეთ უკვდავების კოშკები. სითბო, სიყვარული ყოფილიყოს წილნაყარი თქვენი ბედნიერებისა, მუდამ ქამს ენთოს საქართველოს საფიცარ ხატთან ჩაუმქრალი სანთლები.

წმ. ილია მართლის სახელობის ცაგერის გიმნაზიის X კლასის მოსწავლე სალომე ბერუჩაშვილი

თოჯინების თეატრი ცაგერის საშუალო სკოლაში

ცაგერის საშუალო სკოლაში ერთი შეხედვით უჩვეულო ღონისძიებაზე გვეპატიჟებოდნენ__თოჯინების თეატრი გერმანულ ენაზე...

გერმანული ენის კაბინეტში შესულს, პირველ რიგში, ნამდვილი თეატრალური სცენა მომხვდა თვალში, რომლის მიღმაც ბავშვები ფუსფუსებდნენ.

VII³ კლასის მოსწავლეები წარმოდგენისთვის ემზადებოდნენ, ისინი თავიანთი თოჯინებით წითელქუდას წარმოადგენდნენ გერმანულ ენაზე... მალე წარმოდგენაც დაიწყო... წითელქუდა. __ბებია...მგელი...მონადირე ერთმაეთს ცვლიდნენ სცენაზე, ერთმანეთს ცვლიდნენ სცენის მიღმა მათი გამხმოვანებელი ბავშვებიც, რომლებიც უშეცდომოდ, მშვენიერი გერმანულით აცოცხლებდნენ ჩვენს თვალწინ ზღაპრის გმირებს.

სიუჟეტების შეცვლასთან ერთად სცენაზე დეკორაციებიც იცვლებოდა, ამ დეკორაციების ავტორი, ისე როგორც ამ ღონისძიების სულისჩამდგმელი გერმანული ენის პედაგოგი ნანა კოპალიანი გახლდათ.

მან სპექტაკლის დასრულების შემდეგ ახსნა ასეთი ღონისძიების არსი, აღნიშნა, რომ სწავლების ამგვარი მეთოდი მოსწავლეთა დაინტერესების ზრდის, თავისუფალი აზროვნებას გამოიმუშავებს, დამსწრესთან უშუალო ურთიერთობის არქონის გამო ბავშვებს ეხსნებათ შეცდომით საუბრის კომპლექსი, დაძაბულობა.

თოჯინების მინი თეატრი განზოგადოებულ იქნა რესპუბლიკის მასშტაბით, გამოცემული არის ბუკლეტი „გამოცდილების გაზიარება,“ რასაც მოსწავლეებმა თავიანთი დამზადებული თოჯინებიც დაუმატეს.

თოჯინების თეატრს ესწრებოდნენ სკოლის დირექტორი ნუნუ ჩაკვეტაძე, სასწავლო ნაწილის გამგე ლალი ჩიქოვანი, კლასის დამრიგებელი გაგა გაბიანი, გერმანული ენის პედაგოგები იზო ხვადაგიანი და მარინა ბურჯალიანი და სხვები.

მათ მოიწონეს პედაგოგისა და ბავშვების ნამუშევარი, სკოლის დირექტორმა სურვილი გამოთქვა სპექტაკლი გერმანულ ენაზე უფრო ფართო მაყურებლს ეჩვენოს.

თამარ დავითულიანი

მკითხველის შემოქმედება

■■■

ნუ დაიჩოქებ, შენი მუხლმოყრა მე არ მჭირდება
თავს ნუ დახრი და ნუ წაართმევ მაგ ლამაზ მზერას
არ მინდა ვნახო ნამიანი შენი თვალები
არც მე ვიტირებ__დავიფიცებ თუ გინდა დედას.
არ მინდა მე რომ დაჩოქილი წამოგაყენო
და შენს თვალებში პატიების სურვილი ენთოს,
არ ვიცი დღეს რომ გაპატიო, ხვალ იქნებ კვლავაც
მიღალატო და ამიტომ გთხოვ არ გინდა, გეყოს
არ ვარ ამაყი და ამით მე ბედნიერი ვარ,
ამიტომ მინდა მხოლოდ სულის მე მდუმარება,
და გთხოვ წადი და აღარასდროს აღარ დაბრუნდე
არ მინდა სევდა, აღარ მინდა მე მწუხარება.

■■■

შორიდან ისმის მომაკვდავთა ფოთოლთ შრიალი
რატომ მოედო ცეცხლის ალი აზვირთულ ფერდობს
კვლავაც ინატრებს მზის სხივები თავის სიმწვავეს
ნამიან მთებში კვლვაც ისევ გრიგალი მეფობს...
ალბათ, ეს ნამი მიწის ნაცვლად ფოთლის ცრემლია,
გამეფდა ისევ მწუხარება და სევდა ხევში
აატირებენ ამ ფოთოლთა ცრემლები სხვებსაც
თავის ლანდებს კი სარკის ნაცვლად ნახავენ მზეში
ვერ გააჩერებ ათასეულ წამთა დროებას
ისევ შეისხამს ხის ტოტები მწვანე სამოსელს
კვლავ აისრულებს თავის ნატვრას შორი მწვერვალი
ნისლებს გაფანტავს და ზღვისფერ ცას ისევ აკოცებს
ისევ იბრწყინებს დედოფალი სადღაც სივრცეში
და მის სიყვარულს კვლავ ჩააქსოვს ულევ სიმებში.

■■■

თოვლის ფიფქის ნამქერში ჩამალულა სევდა,
გაზაფხულის სითბოში მზე სიყვარულს ბედავს,
ყვავილები მღერიან და სამყარო ცეკვავს
გაზაფხულდა იები კვლავ მოდიან ჩვენთან.
ამ ბუნების მეჯლისში დედოფალსაც ვხედავ
ყვავილების გვირგვინი თავზე ადგას დედას
ირგვლივ თეთრი ფერები ჩამოღვრილა ქვეყნად
და ღიმილი დედისა მიჰგავს ცისარტყელას
ყვავილები მღერიან და სამყარო ცეკვავს
და დედის დღეს ვულოცავ ულამაზეს დედას
ამ ბუნების მეჯლისში დედოფალსაც ვხედავ
ეს დედაა__აბა სხვა ვინ იქნება ნეტავ?!

მონიკა კოპალიანი

ფრენბურთელთა რაიონულ პირველობაზე

რომელიც ქ. ცაგერის გელა ხვადაგიანის სახელობის სპორტულ დარბაზში ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო ვაჟთა ექვსმა გუნდმა.

შეჯიბრება მოეწყო ორ ქვეჯგუფში წრიული სისტემით.

ფინალურ შეხვედრაში ქვედა ცაგერის გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის გუნდი და მოიპოვა რაიონის ჩემპიონის წოდება.

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ჩხუტელელმა ფრენბურთელებმა დაამარცხეს სოფელ ჭალისთავის გუნდი.

საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეულ იქნა ახალგაზრდა ფრენბურთის სპეციალისტი ლაშა ლიპარტელიანი (სოფ. ქვ. ცაგერი).

საუკეთესო ვეტერანი ფრენბურთელის პრიზი მოიპოვა ფრენბურთის ამაგდარმა მწვრთნელმა თენგიზ სალინაძემ (სპორტსკოლა).

გამარჯვებული და საპრიზო ადგილებზე გამოსული გუნდები დაჯილდოვდნენ რაიონული გამგეობის, ერთიანი ნაციონალური პარტიის რაიონული ორგანიზაციის, სპოროკომიტეტის, ქ. ცაგერის საკრებულოს მიერ დაწესებული სპეციალური პრიზებით და ფულადი ჯილდოებით.

მაისის თვეში რაიონის ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრები გუნდი მონაწილეობას მიიღებს ფრენბურთში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში.

ასპარეზობენ ჭალავნები

ქ. ჯორში ჩატარდა **თავისუფალ ჭიდაობაში** საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის. მოგვიანებით ქ. თბილისში გამართულ საქართველოს პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში იასპარეზეს ჭაბუკმა მოჭიდავეებმა.

ორივე სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა რაიონის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდები (მწვრთნელი: სპორტის ოსტატი: ალუდა სილაგაძე).

ჩვენმა ფალავნებმა მიუხედავად იმისა, რომ საპრიზო ადგილები ვერ მოიპოვეს კარგად იასპარეზეს და სპეციალისტთა ყურადღება დაიმსახურეს.

ქების ღირსია ჭაბუკი მოჭიდავეები თორნიკე ბურჯალიანი, დათო დავითულიანი და კოტე ჯანაძე.

მოსწავლეთა სპარტაკიადაზე

გაიმართა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის მონალური კალენდარული შეჯიბრება **კალათბურთში** ვაჟთა გუნდებს შორის.

გადაღმა ზონის მოსწავლეთა გუნდებს შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

I—ორბელის საშუალო სკოლა
II— ალპანის საშუალო სკოლა
III—ლაჯანის საშუალო სკოლა

ცხენისწყლის ხეობის ზონაში შემდეგი შედეგი დაფიქსირდა:

I—ცაგერის საშუალო სკოლა
II—ქვედა ცაგერის საშუალო სკოლა
III—ზუბის საშუალო სკოლა

ფინალური შეხვედრები მოგვიანებით გაიმართება.

სპარტაკიადა გრძელდება.

ჯოჯო შკუბულიანი
რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

ვიტალი დარასელიას თასზე

ფეხბურთში ჭაბუკთა ზონალურ პირველობაში წარმატებულ გამოსვლას

სპორტი

აგრძელებს „ხვამლის“ ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელი: პორფილე კოპალიანი).

ბოლო პერიოდში ჩატარებული მატჩების შედეგები ასეთია: „ხვამლი“—„მართვე-I“ (ქუთაისი) 3:0, „სამგურალი“ წყალტუბო—„ხვამლი“ 2:1, „ხვამლი“—„მემორიალი“ ქუთაისი 4:0, „იმერეთი“ ხონი—„ხვამლი“ 1:2.

დღეის მდგომარეობით ცაგერის „ხვამლი“ 28 ქულით III (მესამე) საპრიზო ადგილზეა.

დარჩენილ 4-შეხვედრაში ჩვენს გუნდს ძალების მაქსიმალური მობილიზება დასჭირდება მიღწეული შედეგის განმტკიცებისათვის.

საჯარო განცხადება

ქ. ამბროლაურში, თამარ მეფის ქუჩა № 1 (IV სართული) გაიხსნა საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 სთ-დან 16 სთ-მდე, მოემსახურება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობას.

მოქალაქეებს შეუძლიათ პასუხი მიიღონ საქართველოს ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კითხვებზე: პროგრამაში მონაწილეობა-არმონაწილეობა, პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდიის მოცულობა და სხვა. საინფორმაციო ცენტრში მუშაობს ცხელი ხაზები: **1. (8 239) 2 15 09; 2. 899 33 41 49.**

2004/2005 წწ. ზამთარში აშშ მთავრობა, რომელსაც წარმოადგენს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), დააფინანსებს რიგით მეშვიდე „საქართველოს ზამთრის გათბობის დახმარების“ პროგრამას. პროგრამას, USAID-ის სახელით, განახორციელებს „ფი-ეი,გოვერმენთ სერვიზი/საქართველო“.

„საქართველოს ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში 4,611 შეჭირვებულ ოჯახსა და 24 სასიცოცხლო მნიშვნელობის დაწესებულებას ზამთრის პერიოდში ნაწილობრივ ან სრულიად დაეფარებათ მათ მიერ მოხმარებული ელენერგიის საფასური.

პროგრამის მონაწილეები არიან შარშანდელი მოსარგებლეები, რომლებიც შეირჩნენ „საოჯახო დახმარების პროგრამიდან“, რაიონული სოციალური სამსახურის მიერ მიწოდებული სიებიდან და USAID-ის შეჭირვებულობის მონაცემთა ბაზიდან.

პროგრამის მონაწილეთა სიები შედგენილია. ახალი რეგისტრაცია არ წარმოებს.

მოსარგებლეები პროგრამაში მონაწილეობას შეიტყობენ სპეციალური ბარათების, რომლებიც მათ დაურიგდება თებერვლის მიწურულამდე.

თითოეულ შინამეურნეობაზე გათვალისწინებულია 29,16 ლარის ოდენობის დახმარება. თანხას მიიღებს სადისტრიბუციო კომპანია, რის შემდეგ პროგრამის მონაწილეებს ანგარიშებზე დაერიცხებათ USAID-ის სუბსიდიები.

თითოეულ ოჯახზე გათვალისწინებულია **მხოლოდ ერთი** დახმარება, მიუხედავად ოჯახში მცხოვრებ შეჭირვებულ პირთა სულადობისა.

29.16 ლარის ამოწურვამდე ელექტროკომპანიას არ შეუძლია გათიშოს პროგრამის მონაწილე არსებული დავალიანების გამო.

29.16 ლარის ამოწურვის შემდეგ პროგრამის მოსარგებლე ვალდებულია, თვითონ დაფაროს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური.

სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისათვის სუბსიდიას ლიმიტი დგება ინდივიდუალურად. ლიმიტი არ აღემატება გასული წლის ზამთრის მოხმარების მაჩვენებლებს.

პროგრამის მონაწილეებს ვურჩევთ, დადგნენ აღრიცხვაზე ელკომპანიებში, რათა დროულად გაუტარდეთ დახმარებები.

ფე-ეი-გოვერნემენთ-სერვიზის
საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

მკითხველის შემოქმედება

დაკარგულ სიყვარულს!

მაისის თბილი წვიმის წვეთები
გზას მიიკვლევენ ფერმკრთალ მინაზე,
მე რომ მიყვარდი და რომ ვეტრფოდი
ამას ვერ შვძლებ--მე ვერ ვინანებ,
წვიმის წვეთები აშლიან ფიქრებს,
გაახსენდება დღენი ბავშვობის,
ვერც კი ეხვდებოდი შენი თვალების
ღრმა ტკივილობაში როგორ ვხარობდი.
ჩვენ ვსაუბრობდით მხოლოდ თვალებით
უხიტყვო იყო ეს სიყვარული
მაგრამ მის შემდეგ გავიდა წლები,
სევდამ შეცვალა ეს სიხარული
ჩვენ დავადექით სხვადასხვა ბილიკს,
და გაგვიტაცა სულ სხვა ოცნებამ
სულ ახლოს მეავდი, მაგრამ ჩვენს შორის
მანძილი იყო უსაზღვროდ ვრცელი,
შენ დაეშსგავსე წარსულის ლანდებს
და ჩემს გულში კი აღარ დარჩა ადგილი შენთვის.

■■■

ვარდთა სურნელი, სილამაზე, ჰაჰანაქება
ეს ეოველივე ხომ ზაფხულის დასაწყისია,
ბედნიერებით აღვსილ სახეებს ყველგან შეხვდები
და შენს გულისხმას როცა უხმენ გარინდებული,
გარინდულია, ნუ დაამჭარეს მასზე იმედებს,
ამაოდ გჯერა, რომ გაათბობს შექი ნათელი
არ დაიჯერო, რომ გაალღობს სხივი მზურვალე
რომ თავს დაკარგავ და ოცნებებში გადავარდები,
ხუნდებს დაადებ ნაზ გულისთქმას
და არასოდეს არ შეხედავ აღტაცებით შენ ლამაზ თვალებს,
რომ გაიხსენებ შენ ბევრ ტკბილ ზაფხულს
ძალებს მოიკრებ რომ არ შეცდე
და ყველაფერი გამოასწორო,
გამოასწორო, თავს ნუ მისცემ გაურკვევლობას
მტკიცე ნაბიჯით დაადექი იმ დიდ შარაგზას,
რომელიც ყველა სულდგმულისთვის გასავლელია.

ფატი კვირიკაშვილი

უსაყვარლესი მამის სსოვნას



გამოუთქმელ ტკივილს გვაყენებს მამა აპრილის მოსვლა... შენი ხელით დარგული ნერგები ცოცხლდებიან და ყვავიან, შენ კი ჩვენთან აღარ ხარ. გაფენულია შენი დიდი სახლი უშენოდ. შენ ხომ ნულიდან დაიწყე ყველაფერი და აგურ-აგურ ამენებდი დიდ ოჯახს, ყველაფერს ხომ შენი ხელი ეტყობოდა, ამიტომ გვაყენებს გამოუთქმელ ტკივილს აპრილის დადგომა...

წახვედი და მონატრება გვასწავლე...

უსაშველოდ გვენატრები და გაუსაძლისად გვტკივა შენგან დარჩენილი სიცარიელე...

შენ ხომ სინდის-ნამუსით გამორჩეული იყავი, მამა! ადამიანებისათვის უსაზღვრო თანაგრძნობ გაწევა შეგეძლო, საოცარი, ფასდაუდებელი, საამაყო მამა იყავი, უსაზღვროდ თბილი და იშვიათი ბაბუა. არსებობდი და ცხოვრობდი ჩვენთვის. როგორ გვაკლია, მამა, შენი სიყვარულით გამთბარი სიტყვა, ბრძნული რჩევა და მზრუნველობა. ვერ ვურიგდებით უშენობას. შენ ხომ უეცრად, უთქმელად წახვედი ამქვეყნიდან. წახვედი და დაგვიტოვე შეუხორცებელი იარა, ღრმა ტკივილი, სევდიანი მოგონება, დარდი და ცრემლი... ძალიან დიდი იმედი იყავი, მამა, ჩემთვის, ახლა დიდი ტკივილი ხარ და უშენობით გამოწვეულ ტკივილს ვაი, რომ ვერაფერი შეგვიცვლის. მუდამ ვიამაყებთ შენით, ვეცდებით ისე ვიცხოვროთ, შენ რომ გაგიხარდება. შენ ხომ ჩვენთვის კაცობის, ვაჟკაცობის და ადამიანობის სიმბოლო იყავი. შენი შვილები და შვილიშვილები შთამომავლობას გადავცემთ შენს სახელს, სახელს ნათელი კაცისას.

გწამდეს, მამა, შენს საფლავს არასოდეს აბალახებს დავიწყების ხავსი. ვეველრებით უფალს, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. შენს სახელზე ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში.

გელა და ჯოგა საღინაძეები

ზუსაბ ხვსიტანის გახსენება



კაცურად იცხოვრე ამქვეყნად, შენი ძალა და ენერგია შენს საყვარელ მხატვრობას შეალიე, შენი ფაქიზად შესრულებული პეიზაჟები ნათელყოფს იმას, რომ ხელოვანი მართლაც უკვდავია. გიხსნეთ ყოველ დღე, შენი ულვი სითბოთი, ლაღი სიცარიელით.

სხვისი ტკივილი, შენი ტკივილი იყო, სხვისი სიხარული გიხაროდა, ბავშვივით უბოროტო იყავი. როგორ გიყვარდა მეგობრები, სტუმრიანი იყავი და ამიტომაც შენი ოჯახის კარი სულ ღია იყო სტუმრისათვის. თავს დადებდი მეგობრისათვის, მუდამ სიკეთით სავსე გულით დადიოდი ამქვეყნად.

სვანეთის მთების შვილი იყავი, მაგრამ ისე შეგიყვარა და შეიყვარე—ცაგერი—მთელი ლეჩხუმი, რომ ნაცნობი თუ უცნობი ახლობელივით გიყვარდა. მუშაობდი ჩხუტელის საშუალო სკოლაში მხატვარ-პედაგოგად, ცაგერის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მხატვრად. წლების განმავლობაში ემსახურებოდი სამ რაიონს (ცაგერი—ლენტეხი—ამბროლაური), იყავი სახელოსნოს გამგე ბოლო წლებში ცაგერის თეატრის მხატვრად, სადაც გიმუშავნია, ყველგან სითბო და სიყვარული დაგიმსახურებია. ყველა სითბოთი და სიყვარულით გიხსენებს, ზურაბ! უძლური აღმოვჩნდით განგების წინაშეც, ვერც უსაზღვრო სიყვარულით გიშველეთ და ველარც მონატრებით. რამხელა ტკივილია ცხოვრება უშენოდ, როგორ გვაკლიხარ და გვენატრები.

ჟამთა სვლა ვერ გაანელებს შენდამი სიყვარულს ჩვენს გულებში. შენს სახელს მოწიწებით გავუფრთხილდებით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული!

ოჯახი

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ სარედაქციო კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ეკა ბენდელიანს ბიძის

მურად ვარლამის ძე მუკბანიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიონის გამგეობა სამძიმარს უცხადებს ჭირისუფალს

მურად მუკბანიანს

გარდაცვალების გამო.

მზევინარ ძნელაძე, შურა შკუბულიანი ოჯახით სამძიმარს უცხადებენ ბაბუცა შუქური ბაქრაძეების ოჯახებს

რუბენ ევგენის ძე ბაქრაძის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი
მზევინარ ქნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ეკა ბენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47 ტელ: 22-86

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის სს „მანდარიას სტამბაში“

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 70780, 73499